ოქმი:**ო37. 3722349001**

თარიღი:**15/12/2022**

ოქმი # 25

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2022 წელი 14 დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა, ტ. არუშიძე, ქ. ხომერიკი, ნ. ჭანიშვილი, მ. ჩხიკვიშვილი, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მათ მიაწოდა კვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 8 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე წარწერის ,,მამული, ენა, სარწმუნოება“ დაბრუნების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი მეხუზლა

თანამომხსენებელმა გ. მეხუზლამ განაცხადა, რომ მისასალმებელია ის პროექტები რომლებიც ხორციელდება, მისი განცხადებით პეტიციის ხელმომწერთა სურვილი იყო წარწერა “მამული, ენა, სარწმუნოება“ რკალურად განლაგდეს გმირთა მოედანზე არსებული წრიული გზაგამყოფის გარე პერიმეტრზე.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელმა ლ. ბიგვავამ მესამე საკითხზე განაცხადა, რომ საკრებულოში შემოსულია, შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი, რომელიც განხილული იქნება საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებსა და ფრაქციებში. ამდენად, მიზანშეწონილია საკითხის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანა განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

1. პეტიცია გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას რეაგირების მიზნით.

2. N2,3 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

3. ბიუროს სხდომების დღის წესრიგს ბოლოში დაემატოს ერთი საკითხი „სხვადასხვა“, სადაც ბიუროს წევრებს და დამსწრეთ ექნებათ საშუალება გააკეთონ განცხადებები, მიმართვები, გაავრცელონ ინფორმაციები და ა.შ.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი